განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართალი

სულხან--საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

27 აგვისტო, 2019

16 სექტემბერი, 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის ბაკალავრი 0421
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით მაისურაძე, სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო შენგელია, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ჩეკურიშვილი, სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ალექსიძე, სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უსდ-ს სამართლის საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მინიჭებული აქვს 2014 წელს და ვიზიტმა აჩვენა, რომ შესრულებული აქვს აკრედიტაციაში გათვალისწინებული რეკომენდაციები, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების თვალსაზრისით.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

უსდ-მ დატოვა ძალიან დადებითი შთაბეჭდილება. ფაკულტეტი და ადმინისტრაცია დაკომპლექტებულია პროფესიონალი, მიზანდასახული და შრომისმოყვარე თანამშრომლებით, რომლებიც აქტიურად ზრუნავენ ზოგადად უნივერსიტეტის და სტუდენტების სასწავლო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ვიზიტი გაგრძელდა 1 დღის განმავლობაში; ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ ინფრასტრუქტურა და გასაუბრობოდნენ როგორც ფაკულტეტის სამეცნიერო და პედაგოგიურ პერსონალს, ასევე, ადმინისტრაციას, ახალ დეკანს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის წევრებს მიაჩნიათ, რომ პროგრამა არის საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისი. გამონაკლისი ეხება პირველ და მეოთხე სტანდარტს, სადაც ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ პროგრამა არის სტანდარტებთან მეტწილად შესაბამისი.

- რეკომენდაციები

  - სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის, პროგრამის მიზნების ჯეროვნად განხორციელების და სტრატეგიული გეგმების მიზნების უკეთესი რეალიზაციისთვის გადაიხედოს სამართლის საბაკალავრო პროგრამის საერთაშორისო სამართლის მოდული, კერძოდ:

    - პროგრამაში ჯეროვნად აისახოს მისი მნიშვნელობა შესაბამისი შედეგების მიღწევისთვის და პროგრამული მიზნების განხორციელებისთვის (ECTS კრედიტებში);
    - მოხდეს მოდულს შიგნით (სასურველია არჩევითი კურსების სახით) საერთაშორისო საჯარო სამართლის ფუნდამენტური დარგების შეთავაზება.

  - პროგრამის მდგრადობის შენარჩუნების, ხარისხის შენარჩუნების მიზნით რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტმა განაახლოს აკადემიური პერსონალი რათა მოემსახუროს ყველა საგანს სადაც განაწილებული იყო ასისტენტის პოზიციაზე მყოფი აკადემიური პერსონალი.
  - რეკომენდირებულია აკრედიტაციის საბჭომ იმსჯელოს გავრცელებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, რას გულისხმობს ასისტენტის მიერ დამოუკიდებლად სალექციო კურსის წაყვანას.

- ასევე, სასურველია თუ მატერიალური რესურსების თვალსაზრისით უნივერსიტეტი განიხილავს სწავლების ახალი მეთოდების დანერგვის შესაძლებლობას, მათ შორის: Moodle, Massive Online Courses, ინტერაქტიული თეთრი დაფები და ა.შ.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის მოქნილობის და სტუდენტის ინტერესის მეტად დაკმაყოფილების მიზნით სასურველია უნივერსიტეტმა განიხილოს სამართლის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგნების პროპორციის ზრდა სავალდებულო საგნებთან მიმართებით;

- სასურველია მოდულებს შორის მეტი ბალანსის უზრუნველყოფა;

- საერთაშორისო სამართლის მოდულის შიგნით სასურველია არჩევითი საგნების რაოდენობის გაზრდა, აგრეთვე ერთი მოდულის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მოდულიდან სულ მცირე ერთზე მეტი სავალდებულოდ ასარჩევი საგნის დაწესება;

- ინტერნაციონალიზაციის და სტუდენტების მოზიდვის მიზნით მოხდეს სტუდენტების საერთაშორისო სამართლებრივ კონკურსებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

- ცალკე გამოიყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო/ევროპული სამართლის კურს(ებ)ი, როგორც არჩევითი საგნები და მათი სწავლება მოხდეს საერთაშორისო სამართლის მოდულის შიგნით, რაკიღა მათი ადეკვატური დაფარვა ვერ მოხდება ადამიანის ძირითადი უფლებების კურსისთვის გაზრდილი საათების პირობებშიც.

- პროგრამას დაემატოს საერთაშორისო სახელშეკრულებო და საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი;

- საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალს შეეცვალოს სახელწოდება: საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი;

- კარგი იქნება თუ მოხდება საერთაშორისო სამართლის მიმართულებით სწავლებისა და სტუდენტთა მხრიდან დაინტერესების მონიტორინგი სტუდენტებისთვის საერთაშორისო სამართლის უკეთესად შესასწავლად;

- სტუდენტთა მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ მოხდეს ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ სისტემაში სასწავლო მასალებისა და სხვადასხვა ლიტერატურის დამატება. კარგი იქნება ბიბლიოთეკას თუ დაემატება ის სასწავლო სახელმძღვანელოები თუ ლიტერატურა, რის ნაკლებობასაც განიცდიან სტუდენტები.

- სტუდენტებმა სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად უფრო დიდი სივრცის ქონის სურვილი გამოთქვეს, პროგრამის ხელმძღვანელებთან და უსდ-ს ადმინსიტრაციასთან საუბრისას გაირკვა, რომ იგეგმება კამპუსის მშენებლობა, სადაც სტუდენტებს არსებული სივრცის საჭიროებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ.

- სასურველია სტუდენტებს, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს HeinOnline თან წვდომის შესაძლებლობა ჰქონდეს უნივერსიტეტის ტერიტორიის გარეთ.

- საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა ჩაატაროს ანალიზი ამ პრობლემის მოსაგვარებლად; მაგ., პროგრამების რეკლამირება საზოგადოებაში და ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლითაც მოიზიდავს სტუდენტებს.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

განახლებული პროგრამის სწავლის შედეგები, რეგულირებადი პროფესიის სპეციფიკას ასახავს და ჩამოყალიბებულია სამართლის დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით. პროგრამის მიერ დეკლარირებული სწავლის შედეგები კონკრეტული, მიღწევადი და გაზომვადია. გაიზარდა პრაქტიკული კომპონენტი და მოხდა მისი ადგილის ზრდა პროგრამაში. უნივერსიტეტში წელიწადზე მეტია მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმები, რაც პროგრამების, სწავლის შედეგების, სასწავლო პროცესის შეფასების განახლებას და მის სამოქმედო გეგმაში ადეკვატურ ასახვას გულისხმობს. პროგრამა მოქნილია სიახლების და საჭიროებისამებრ განსახორციელებელი ცვლილებების მიმართ. გაცემული რეკომენდაციის ეფექტიანი განხორციელება პროგრამაში ფაკულტეტისთვის არ იქნება რთულად გადასალახი გამოწვევა. უსდ-მ გაითვალისწინა ბოლო აკრედიტაციისას დაგროვილი რეკომენდაციები და გააძლიერა ინგლისურენოვანი და პრაქტიკული კომპონენტი.

- **პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან**

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი/საბაუნი დაარსდა 2002 წელს. უნივერსიტეტის მისიაა „აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე მორგებული ხარისხიანი ცოდნის გავრცელება...“ 2009 წლიდან უნივერსიტეტში მოქმედებს სამართლის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის პრიორიტეტია სტუდენტთა პიროვნული ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი ინტელექტუალური და პიროვნული განვითარებისათვის ჰარმონიული შიდასაუნივერსიტეტო გარემოს შექმნა. მისი ამოცანაა მოამზადოს თეორიული-პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი მაღალკონკურენტუნარიანი სპეციალისტები რომლებიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობენ დემოკრატიულ, ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოების ჩამოყალიბებას. სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე (sabauni.edu.ge) ხელმისაწვდომი უსდ-ს განვითარების გრძელვადიანი (2018-2024) და მოკლევადიანი (2018-2020) სტრატეგიული გეგმების თანახმად, სასწავლო უნივერისტეტის მისიის რეალიზაცია სრულად 2024 წლისთვის არის დაგეგმილი. ამავე პერიოდისთვის მოიაზრება სასწავლო უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების მიღწევა. სასწავლო უნივერსიტეტის თანამედროვე წარმატებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბების პროცესში პირველ ეტაპზე დასახული ამოცანა ითვალისწინებს სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების ინოვაციური სისტემის შექმნას, ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და საინფორმაციო რესურსების კონცენტრაციით სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შინაარსობრივი, მეთოდოლოგიური, საორგანიზაციო და სამეცნიერო სფეროების სრულყოფას და თანამედროვე კონკურენტუნარიანი ინოვაციური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას (2018-2020წწ.). 2009 წლიდან სულხან-საბას სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი ახორციელებს სამართლის საბაკალავრო პროგრამას, ხოლო 2014-2015 წწ-დან სამართლის სამაგისტრო პროგრამასაც. აკრედიტაციის საბჭოს #249 გადაწყვეტილებით, 2014 წლის 10 დეკემბერს სამართლის საბაკალავრო პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, რომელიც ძალაშია 2019 წლის 10 დეკემბრამდე. სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის მოქმედი სამართლის საბაკალავრო

პროგრამის მიზანია, სტუდენტს შესძინოს:
(A) ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ;
(B) სიღრმისეული ცოდნა საჯარო, კერძო, საერთაშორისო და სისხლის სამართლის დარგებში. სტუდენტს გამოუმუშავოს:
(C) საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
(D) სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
(E) სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
(F) სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.

მაშასადამე, სამართლის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია მიიღოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზით აღჭურვილი, თვითგანვითარებაზე ორიენტირებული, კონკურენტურანიანი, სამართლის პრაქტიკოსი, რომელსაც გააჩნია არა მხოლოდ საგნობრივი კომპეტენცია არამედ შესაბამისი უნარებიც რათა დამოუკიდებლად იმოღვაწეოს სამართლის სფეროში (როგორ კერძო, ისე საჯარო სექტორი), ამასთან კურსდამთავრებული გარკვეული ღირებულებითი კომპონენტის მატარებელიც ხდება სამართლის უზენაესობის და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის მხრივ.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ხედვას, აგრეთვე სტრატეგიული განვითარების გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს. პროგრამის თანახმად, დასაქმების ორიენტირია საქართველოში მოქმედი კერძო და საჯარო ორგანიზაციები, უფრო კონკრეტულად: სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს: საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში; სასამართლო ორგანოებში; სამართალდამცველ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში; საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებში ან სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში. (იხ. პროგრამა, გვ.4).

საბაუნის საბაკალავრო პროგრამა (240 ECTS; ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს) შედგება საუნივერსიტეტო სავალდებულო, არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებისგან, უცხო ენის კომპონენტებისგან სპეციალობის სასწავლო კურსებისგან და თავისუფალი კომპონენტისგან. საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების (ჯამურად) და არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ურთერთპროპორციაა 12:3. ინგლისური ენის კომპონენტი 30 კრედიტისგან შედგება, აქედან 6 კრედიტი ეთმობა სამართლებრივ ინგლისურს (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს. სპეციალობის

სასწავლო კურსები ერთიანდება 5 მოდულში: სამართლის საფუძვლები და მეთოდები (12 ECTS); კერძო სამართალი (55 ECTS); საჯარო სამართალი (38 ECTS); საერთაშორისო სამართალი (5 ECTS), სისხლის სამართალი (27 ECTS), სხვადასხვა მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები (28 კრედიტი), პრაქტიკული უნარების კომპონენტები (18 ECTS) თავისუფალი კომპონენტი (12 ECTS).

სამართლის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი შეიქმნა 2019 წლის 1 თებერვალს რექტორის N 13-19 ბრძანების საფუძველზე. ბრძანებით განისაზღვრა ჯგუფის შემადგენლობა: პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კანცლერი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი, ადამიანური რესურების მართვის სამსახურის უფროსი, იურისტი, ბიბლიოთეკა, სტუდენტთა კარიერული ზრდისა და ხელშეწყობის სამსახური. ჯგუფის ფორმირებისას უზრუნველყოფილ იქნა პერსონალის და დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობა.

2019 წლის 8 თებერვალს სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებად დაინიშნენ აფილირებული ასოცირებული პროფესორი დიმიტრი გეგენავა და აფილირებული ასისტენტი ნინო ქათამაძე. (იხ.სამართლის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი#01-19). ამავე ოქმის საფუძველზე ჩამოყალიბდა საბაკალავრო პროგრამის ცვლილებებზე მომუშავე თვითშეფასების ჯგუფი.

სხვადასხვა გამოკითხვის შედეგად კურსდამთავრებულთა მთავარ გამოწვევად „სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარის ნაკლებობა გამოვლინდა“. საპასუხოდ, თვითშეფასების ჯგუფის და სხვა ჩართული აქტორების მოსაზრებების საფუძველზე, მათ შორის, დამსაქმებლებთან კონსულტაციების შედეგად და შესაბამისი პროცედურების დაცვით, საბაკალავრო პროგრამაში განახლდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები. განახლდა და დაკორექტირდა პროგრამის სილაბუსები, მოდიფიცირდა მეთოდები, გამოცდა/გამოკითხვის ფორმები და შინაარსი. გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი. გაძლიერდა ინგლისური ენის კომპონენტი და 6 კრედიტი კონკრეტულად სამართლებრივ ინგლისურს დაეთმო. ამ გზით სასწავლო უნივერსიტეტი გეგმავს ხელი შეუწყოს ინგლისური ენის ფლობის დონის გაუმჯობესებას (რაც წინა აკრედიტაციის პროცესშიც პრობლემად გამოიკვეთა), აგრეთვე ეტაპობრივად გაზარდოს ინგლისურენოვანი კომპონენტი და არჩევითი საგნები ინგლისურ ენაზე. თუმცა, პარალელურად მოხდა გარკვეული საგნების ქართულენოვან ალტერნატივებზე გადასვლა (პრაქტიკული ბარიერებიდან გამომდინარე). სავალდებულო კურსებად განისაზღვრა საოფისე პროგრამები და კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკა პროგრამას დაემატა მაგ. ისეთი პრაქტიკული მოდულები, როგორიც: კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსები, საპროცესო უნარ-ჩვევები, სამართლებრივი წერა და საკონსტიტუციო სამართალწარმოებაა. გადახალისდა და გაიზარდა ადამიანის ძირითადი უფლებების კურსი (ნაწილობრივ მოიცვა საერთაშორისო კომპონენტი), ცალკე მოდულად გამოიყო საერთაშორისო სამართალი.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად საგრძნობლად გაიმართა საბაკალავრო პროგრამა და კარგად გამოიკვეთა დეკლარირებული მიზნების მიღწევის ე.წ. „საგზაო რუკა“ თუმცა ასევე გაიზარდა სავალდებულო საგნების ხვედრითი წილი არასავალდებულო საგნებთან მიმართებით. პროგრამის შიგნით გარკვეულწილად შეიმჩნევა ბალანსის ნაკლებობა მოდულებს შორის (55/38/27/5), რაც რიგ შემთხვევაში დარგის სპეციფიკით არის გათვალისწინებული, თუმცა, მაინც სასურველია მეტ-ნაკლები თანაფარდობის მიღწევა

ერთის მხრივ მოდულის საერთო ჯამური წონის (კონკრეტულ მოდულში დასაგროვებელი კრედიტების საერთო რაოდენობა) გაზრდით და მეორეს მხრივ მოდულს შიგნით შემოთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების მრავალფეროვნების ხარჯზე (240 კრედიტში არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტის ხვედრითი წილის გაზრდის პირობებში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
- უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმები;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი;
- უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საბჭოს ოქმები: #07-19;# 05-19; #01-19.
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის მოქნილობის და სტუდენტის ინტერესის მეტად დაკმაყოფილების მიზნით სასურველია უნივერსიტეტმა განიხილოს სამართლის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგნების პროპორციის ზრდა სავალდებულო საგნებთან მიმართებით;
- სასურველია მოდულებს შორის მეტი ბალანსის უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო სამართლის მოდულის შიგნით სასურველია არჩევითი საგნების რაოდენობის გაზრდა, აგრეთვე ერთი მოდულის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მოდულიდან სულ მცირე ერთზე მეტი სავალდებულოდ ასარჩევი საგნის დაწესება;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- სასურველია სავალდებულო საგნების არჩევისას სტუდენტს ლექტორის არჩევის შესაძლებლობაც ჰქონდეს (ე.ი. სავალდებულო კურსი პერსონალის მხრივ უზრუნველყოფილი იყოს ერთზე მეტი პირით).

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგრძნობლად გაიმართა საბაკალავრო პროგრამა და გამოიკვეთა დეკლარირებული მიზნების შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან, ხედვასთან, განვითარების სტრატეგიულ გეგმებთან, შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან. გაძლიერდა ინგლისური ენის სწავლების მიმართ უნივერსიტეტის მხარდაჭერა. უნივერსიტეტი მუშაობს დასაქმების დივერსიფიკაციაზე, პრაქტიკული კომპონენტის ზრდაზე, ინტერნაციონალიზაციაზე.

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშისა და საბაკალავრო პროგრამის ანალიზიდან ჩანს, რომ სამართლის საბაკალავრო საფეხურისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად პროგრამა ითვალისწინებს რვა სწავლის შედეგს. მათგან **ორი ცოდნა/ გაცნობიერებაზეა ორიენტირებული** (მათ შორის, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების შესახებ ინფორმირება, დარგობრივი სამართლის სიღრმისეული ცოდნა, საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის ცოდნა; სამართლის არსი, პრინციპები, სისტემა, განმარტების მეთოდები, ა.შ.); ამ ნაწილში განხირციელებული ცვლილების შედეგად, პროგრამას დაემატა საკონსტიტუციო სამართალწარმოებისა და რომის სამართლის საფუძვლების შესახებ ცოდნის კომპონენტი.

სწავლის ოთხი შედეგი კონცენტრირდება კურსდამთავრებულის უნარებზე (მათ შორის: სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების მოძიება,

იურიდიული დოკუმენტების შედგენის ტექნიკა, დასაბუთებული სამართლებრივი პოზიციების წარმოჩენა, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა და პირის ინტერესების დაცვა-წარმოდგენას, როგორც სასამართლოში ისე არასასამართლო დავის შემთხვევაში, ინფორმაციის მოძიება-გადაცემას შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის გამოყენებით (ქართული და ინგლისური B2 დონეზე); თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტაციის მიზნით, პროგრამას დაემატა სამი პრაქტიკული სასწავლო კურსი (კერძო,საჯარო და სისხლის სამართლის მიმართულებით), აგრეთვე სამართლებრივი წერა, საპროცესო უნარ-ჩვევები, (ჯამში 24 კრედიტი), რაც უნარების ნაწილში სწავლის შედეგებს მიღწევადს, გაზომვადსა და მეტად შეფასებადს ხდის.

დამატებით ორი შედეგი (კურსდამთავრებული ორიენტირებულია თვითგანვითარებაზე, ცოდნის განახლებაზე, იცნობს იურიდიული საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს პირთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით) **პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის მიღწევას ემსახურება;** კერძოდ, პროგრამამ კურსდამთავრებულს უნდა მისცეს ცოდნა და განუვითაროს შესაბამისი უნარები, რათა მან შეძლოს არაპროგნოზირებად სასწავლო თუ სამუშაო გარემოში მოქნილი, სხარტი, ეთიკური და შეძლებისდაგვარად პროგრესული გადაწყვეტილების მიღება; ამასთან, სურვილის შემთხვევაში, შეეძლოს ავტონომიურად გამოავლინოს საკუთარი საჭიროებები სწავლის გაგრძელებისა თუ პროფესიული განვითარების კუთხით; ხელეწიფებოდეს დამოუკიდებლად დაგეგმოს და ხარისხიანად განახორციელოს აღნიშნული.

განახლებული პროგრამის სწავლის შედეგები, რეგულირებადი პროფესიის სპეციფიკას ასახავს. თითოეული სწავლის შედეგი შესაბამისი მოდულისა და კომპონენტების სასწავლო კურსების შედეგებს მოიცავს. კურსების აბსოლუტური უმრავლესობის შინაარსი და სპეციფიკა განსაზღვრავს სტუდენტისათვის აუცილებელი ცოდნის და უნარ-ჩვევების შეძენას და ეხმიანება პროგრამის მიზნებს. პროგრამის **სწავლის შედეგები** სამართლის დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით არის ჩამოყალიბებული. დეკლარირებული შედეგები კონკრეტული, მიღწევადი და გაზომვადია, მაგალითად, სააკრედიტაციო პერიოდში მიმდინარე პროგრამებზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 50%-ია, ხოლო კონკრეტულად მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად, ბოლო 5 წლის განმავლობაში - 56%. რეგულირებადი პროფესიის სტანდარტებიდან გამომდინარე სასერტიფიკატო გამოცდაზე გასულ (31%) კურსდამთავრებულთა ნახევარმა წარმატებით დაძლია საგამოცდო მოთხოვნები; უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი სააკრედიტაციო პერიოდისთვის 25% შეადგენს.

პროგრამასთან ერთად ექსპერტების ხელმისაწვდომი იყო **სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა**. ჩაღრმავებული ინტერვიუირების დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა ხაზი გაუსვეს პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელობის და მისი ადგილის ზრდას პროგრამაში, აგრეთვე მოახდინეს სწავლის შედეგების მიღწევის საკუთარი ხედვის გაზიარება. სულხან-საბას სასწავლო უნივერსიტეტში **სამიზნე ნიშნულების თითოეული სწავლის შედეგი მოწმდება შესაბამისი შედეგის საბოლოოდ უზრუნველმყოფი კურსით.** „სამართლის საბაკალავრო პროგრამა აგებულია

თანმიმდევრული ლოგიკით, რომლის მიხედვითაც, კონკრეტული დისციპლინის გავლასა და დაძლევას სჭირდება შესაბამისი, ლოგიკური წინაპირობის გავლა. [...] მართალია, სწავლის შედეგების მიღწევა-დადგომაში ყველა სავალდებულო დისციპლინა/სასწავლო კურსი მონაწილეობს, თუმცა შედეგის მიღწევა არა ამ სავალდებულო საგნების გავლის შემდეგ, არამედ იმის მიხედვით უნდა შეფასდეს, თუ რომელი სასწავლო საგანი უზრუნველყოფს საბოლოო შედეგს.“ (იხ.სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა, გვ.1).

პროგრამის სწავლის შედეგების **სამიზნე ნიშნულებად** მიჩნეულია ECTS-ის შეფასების (რანჟირების) სკალა, რომლის მიხედვით იმ სტუდენტებისთვის, რომლებისთვისაც სწავლის შედეგის საბოლოო შეფასება არის დადებითი, 10% იღებს A შეფასებას, მომდევნო 25% - B შეფასებას, შემდეგი 30% - C-ს, შემდეგი 25% - D-ს, და ბოლო 10% კი - E-ს. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონე უმჯობესდება ყველა იმ შემთხვევაში, თუ შეფასების პროცენტული სიდიდე შეფასების დაბალ კატეგორიაში მცირდება და ამავდროულად, შეფასების მაღალ კატეგორიაში იზრდება.

სტუდენტების მიერ **სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად** უნივერსიტეტი ამჟამად იყენებს: აკადემიური მოსწრების ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას და ანალიზს და გამოკითხვას. (აქედან პირველი ორი უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემით და შესაძლებელს ხდის დადებითი შეფასების მქონე სტუდენტების რანჟირებას მიღებული ქულების მიხედვით); გამოკითხვის კომპონენტი ხორციელდება წინასწარ შედგენილი კითხვარებით, ხარისხის სამსახურის ჩართულობით. სტუდენტის ადგილი რანჟირების სკალაზე, სხვადასხვა დროს განსაზღვრავს / აისახება მისი წარმატების კოეფიციენტზე სტუდენტზე ორიენტირებულ სხვადასხვა (დამატებით) აქტივობაში (კონკურსი, სტიპენდია, სტუდენტურ პროექტში ჩართულობა, დაფინანსება ა.შ.)

შეფასების და მისი შედეგების გამოყენების სისტემატიზაციის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტში წელიწადზე მეტია მოქმედებს **ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმები,** რაც პროგრამების, სწავლის შედეგების, სასწავლო პროცესის შეფასების განახლებას გულისხმობს. სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ხორციელდება სემესტრულად, შედეგები ეგზავნება ფაკულტეტის დეკანს განსახილველად. სასწავლო პროცესის შეფასების მიზნებისთვის სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები ასევე აისახება ფაკულტეტის შესაბამის სემესტრულ ანგარიშში. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ მომზადებულ ყოველსემესტრულ დასკვნას განიხილავს აკადემიური საბჭო, რომელიც არსებულ შენიშვნებს გაითვალისწინებს სამოქმედო (საოპერაციო) გეგმაში პროგრამის გასაუმჯობესებლად (საჭიროებისამებრ, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის კორექტირებს ჩათვლით). საოპერაციო გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური.

აკრედიტაციის ვიზიტისას და მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზით გამოიკვეთა **რიგი საყურადღებო საკითხები:** უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი არის ინტერნაციონალიზაცია.(იხ. განვითარები მოკლევადიანი სტრატეგიული გეგმა (**2018-2020**

წწ.), მიზანი 4. სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესების ინტერნაციონალიზაცია), ამასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის ამოცანაა სტუდენტების პრაქტიკული უნარების (სწავლის შედეგები: C) –(F)-ჩათვლით, პროგრამის მიზნები (C) –(F)-ჩათვლით) შეძენა-გაღმავების ხელშეწყობა. პროგრამაში ამჟამად ცალკე სახით ჩამოყალიბებული საერთაშორისო სამართლის მოდული მისასალმებელია, თუმცა სტუდენტის მიერ პროგრამის დასრულებისთვის მისი მნიშვნელობა მინიმალურია (ჯამში 5 ECTS), პრაქტიკაში შესაძლებელია (და ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ ძირითადად ასეც ხდება) სტუდენტმა პროგრამა ისე დაასრულოს, რომ საერთაშორისო სამართლის მოდულიდან გაიაროს მხოლოდ ერთი -სავალდებულო კურსი - შესავალი საერთაშორისო საჯარო სამართალში, რაც საეჭვოა, უზრუნველყოფდეს საერთაშორისო სისტემის სიღრმისეულ ცოდნას (იხ. პროგრამის მიზანი (B) - სიღრმისეული ცოდნა საჯარო, კერძო, საერთაშორისო და სისხლის სამართლის დარგებში) ამასთან, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას (იხ. ოქმი #05-19) აღინიშნა, რომ სასურველი იქნებოდა საერთაშორისო სამართალში მოდულს დამატებოდა სხვა ქართულენოვანი ალტერნატივაც, რაც იმითაც არის განპირობებული, რომ ხშირია სხვადასხვა იმიტირებული პროცესი, რომელიც სტუდენტთაგან საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა დარგის ცოდნას მოითხოვს. აღნიშნული რჩევა პროგრამამ გაითვალისწინა მხოლოდ ვიწრო სპეციფიკური დარგების - საერთაშორისო საზღვაო სამართლისა, საერთაშორისო „ეკოლოგიური“ და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, აგრეთვე ევროკავშირის სპეციფიკის შემსწავლელი 2 კურსის ასახვით. სასურველი იქნებოდა, მათ შორის განვითარების სტრატეგიული გეგმების მიზნების გათვალისწინებით, შემდგომი ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისთვის, სტუდენტთა მეტი ჩართულობა სხვადასხვა ეროვნული თუ საერთაშორისო დონის შეჯიბრებში, რომელიც საბაზისო საერთაშორისო სამართლებრივ ცოდნას გულისხმობს. ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით პროგრამას გარკვეული ნაკლოვანებები გააჩნია: მაგალითად, სტუდენტს არ აქვს არჩევანი ძირითადი სავალდებულო საგნის (საერთაშორისო საჯარო სამართლის) მიღმა დაინტერესების შემთხვევაში აიღოს ისეთი ფუნდამენტური სს-ივი საგნები, როგორიცაა საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული ან/და პრეცედენტული სამართალი). მით უფრო, რომ აკრედიტაციის ვიზიტისას პერსონალის და სტუდენტთა ნაწილმა აღნიშნული საკითხების დამატება/გაღრმავება/ცალკე კურსად გამოყოფა და მეტი ალტერნატივის არსებობა სასურველად მიიჩნია. ზემოაღნიშნული კითხვის ნიშნებს აჩენს სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით, რაკიღა უნარების ნაწილში პროგრამის ერთ-ერთი ამოსავალი შედეგი უნდა იყოს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის გზების მოძიება, სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე იურიდიულ შემთხვევათა გადაწყვეტა, თეზისის განვითარებასა და შერჩეული მიდგომის დასაბუთება, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევასა და პირის ინტერესების დაცვა-წარმოდგენა, მათ შორის სასამართლოში. ეროვნული სამართალში საერთაშორისო სამართლის დარგების მზარდი როლის გათვალისწინებით (საერთაშორისო ხელშეკრულებები, ნორმათა იერარქია, ევროპული სასამართლოს პრეცედენტის და სახელშეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების როლის ზრდა საქართველოს კანონმდებლობაში (იხ. საპროცესო კანონმდებლობა) და ეროვნული სასამართლოების წინაშე პრეცედენტის ციტირების მნიშვნელობის ზრდა კურსდამთავრებულს გაუჭირდება პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ნაწილში საჭირო შედეგების სათანადო ხარისხით მიღწევა (სათანადო ბაზისის გარეშე საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნება და ცოდნის მუდმივად განახლება შედარებითი ანალიზის პირობებში), სისტემის საბაზისო ცოდნის გარეშე კურსდამთავრებულისთვის შესაძლოა გამოწვევას წარმოადგენდეს პირთა უფლებების

განხორციელების სათანადო (ყველა დონეზე) ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა თანამედროვე სამართლებრივი ლოგიკის სწორი აღქმით სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით. აქვე გასათვალისწინებელი შრომითი ბაზრის მოთხოვნებიც. რაკი პროგრამის კურსდამთავრებულს არა მხოლოდ კერძო, არამედ საჯარო დაწესებულებებშიც შეუძლია დასაქმდეს, ზემოაღნიშნული ცოდნა, ეროვნული სამართლის პრაქტიკული კომპონენტის და ენობრივი კომპეტენციის ზრდის პარალელურად მას დაეხმარება მეტად კონკურენტუნარიანი კადრი იყოს შრომით ბაზარზე (აღმასრულებელი ხელისუფლება, პარლამენტი, არასამთავრობო სექტორი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები; ○ უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმები; ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა; ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ○ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი; ○ უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საბჭოს ოქმები: #07-19;# 05-19; #01-19. ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო.
რეკომენდაციები: ○ სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის, პროგრამის მიზნების ჯეროვნად განხორციელების და სტრატეგიული გეგმების მიზნების უკეთესი რეალიზაციისთვის გადაიხედოს სამართლის საბაკალავრო პროგრამის საერთაშორისო სამართლის მოდული, კერძოდ: - პროგრამაში ჯეროვნად აისახოს მისი მნიშვნელობა შესაბამისი შედეგების მიღწევისთვის და პროგრამული მიზნების განხორციელებისთვის (ECTS კრედიტებში); - მოხდეს მოდულს შიგნით (სასურველია არჩევითი კურსების სახით) საერთაშორისო საჯარო სამართლის ფუნდამენტური დარგების შეთავაზება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ ინტერნაციონალიზაციის და სტუდენტების მოზიდვის მიზნით მოხდეს სტუდენტების საერთაშორისო სამართლებრივ კონკურსებში მონაწილეობის ხელშეწყობა; ○ ცალკე გამოიყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო/ევროპული სამართლის კურს(ებ)ი, როგორც არჩევითი საგნები და მათი სწავლება მოხდეს საერთაშორისო სამართლის მოდულის შიგნით, რაკიღა მათი ადეკვატური დაფარვა ვერ მოხდება ადამიანის ძირითადი უფლებების კურსისთვის გაზრდილი საათების პირობებშიც. ○ პროგრამას დაემატოს საერთაშორისო სახელშეკრულებო და საერთაშორისო

ორგანიზაციების სამართალი; ○ საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალს შეეცვალოს სახელწოდება: საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) - განახლებული პროგრამის სწავლის შედეგები, რეგულირებადი პროფესიის სპეციფიკას ასახავს და **ჩამოყალიბებულია სამართლის დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით. პროგრამის მიერ დეკლარირებული სწავლის შედეგები** კონკრეტული, მიღწევადი და გაზომვადია. გაიზარდა პრაქტიკული კომპონენტი და მოხდა მისი ადგილის ზრდა პროგრამაში. უნივერსიტეტში წელიწადზე მეტია მოქმედებს **ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმები,** რაც პროგრამების, სწავლის შედეგების, სასწავლო პროცესის შეფასების განახლებას და მის სამოქმედო გეგმაში ადეკვატურ ასახვას გულისხმობს. პროგრამა მოქნილია სიახლების და საჭიროებისამებრ განსახორციელებელი ცვლილებების მიმართ. გაცემული რეკომენდაციის ეფექტიანი განხორციელება პროგრამაში ფაკულტეტისთვის არ იქნება რთულად გადასალახი გამოწვევა.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან × მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან	✓			

პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. სტუდენტები ირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად. სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და ხელს უწყობს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად; ასევე, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით; სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და წესით. ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობის, პროგრამის მიზნების, შედეგების, შეფასების სისტემის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <http://sabauni.edu.ge/ge/bachelor/law>.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების დოკუმენტი; - საბაკალავრო პროგრამა; - ინტერვიუ; - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება.
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა × შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, რაც შემდეგნაირად ნაწილდება: საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები 12 ECTS, არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები არანაკლებ 3 ECTS,

სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდული - 12 ECTS, კერძო სამართლის მოდული 55 ECTS, საჯარო სამართლის მოდული 38 ECTS, საერთაშორისო სამართლის მოდული 5 ECTS, სისხლის სამართლის მოდული 27 ECTS, პრაქტიკული უნარების კომპონენტი 18 ECTS, სხვადასხვა მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები 28 ECTS, თავისუფალი კომპონენტი 12 ECTS, ინგლისური ენის კომპონენტი 30 ECTS, მათ შორის 6 ECTS სამართლებრივი ინგლისური.

უცხო ენის კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ინგლისური ენა (A1), ინგლისური ენა (A2), ინგლისური ენა (B1.1), ინგლისური ენა (B1.2) ინგლისური ენა (B2.1), ინგლისური ენა (B2.2) და სამართლებრივი ინგლისური.

სამართლის საბაკალავრო პროგრამა ოთხწლიანია და შედგება რვა სემესტრისგან. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. პროგრამა შედგება 74 საგნისაგან, რომელთაგანაც 37 სავალდებული საგანია, ხოლო 37 არჩევითი. საბაკალავრო პროგრამის ძირითადი კომპონენტებია: ძირითადი სპეციალობა (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი), დამატებითი სპეციალობის პროგრამა (სასწავლო კურსები) და თავისუფალი კომპონენტი (არასპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები და/ან ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“ - სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან არჩეული სასწავლო კურსები).

საუნივერსიტეტო სავლდებულო სასწავლო კურსები ჯამურად მოიცავს 12 კრედიტს, ხოლო არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს სულ მცირე 3 კრედიტი. ინგლისური ენის კომპონენტი აერთიანებს 30 კრედიტს, მათ შორის 6 კრედიტი ეთმობა სამართლებრივ ინგლისურს.

სპეციალობის სასწავლო კურსები დაყოფილია შემდეგ მოდულებად: სამართლის საფუძვლები და მეთოდები; კერძო სამართალი; საჯარო სამართალი; საერთაშორისო სამართალი და სისხლის სამართალი. სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდული მოიცავს 12 კრედიტს.

კერძო სამართლის მოდულში 55 კრედიტი სავალდებულოა. საჯარო სამართლის მოდული მოიცავს 38 კრედიტს. საერთაშორისო სამართლის მოდულში მინუმუმ 5 კრედიტის დაგროვება სავალდებულოა. სისხლის სამართლის მოდული სავალდებულო 27 კრედიტით და სხვადასხვა მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები 28 კრედიტი.

გარდა ამისა, საბაკალავრო საფეხურის ბოლო ეტაპზე სავალდებულო კურსის სახით შემოთავაზებულია პრაქტიკული კომპონენტებიც, როგორიცაა სამართლებრივი წერა, საპროცესო უნარ-ჩვევები და პრაქტიკული კურსი კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლიდან. პრაქტიკული უნარების კომპონენტებიდან 18 კრედიტის დაგროვება უნდა მოხდეს სავალდებულო სასწავლო კურსების ათვისების ხარჯზე. თავისუფალი კომპონენტის ოდენობა მოიცავ 12 კრედიტის ფარგლებში არჩევითი სასწავლო კურსის არჩევის შესაძლებლობას.

საგნები, სემესტრების მიხედვით, განაწილებულია შემდეგი პრინციპით: პირველ სემესტრში სტუდენტები გადიან გაცნობითი/ზოგადი ხასიათის საგნებს. ყოველ შემდეგ

სემესტრში შეთავაზებული საგნების სირთულე იზრდება შინაარსობრივი თვალსაზრისით და ითვალისწინებს სხვადასხვა დისციპლინებს, როგორც პრერეკვიზიტებს შესაბამისი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. იმ საგნებზე დასაშვებად, რომელსაც გააჩნია დაშვების წინაპირობა სტუდენტს დადებითი შეფასება უნდა ჰქონდეს პრერეკვიზიტად მითითებულ შესაბამის საგანში. პროგრამაში შემავალი საგნების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა აწყობილი. მაგალითად, საგანს „შესავალი სამოქალაქო სამართალში“ არ გააჩნია წინაპირობა, საგანს „სანივთო (ქონებრივი) სამართალი“ აქვს წინაპირობა „შესავალი სამოქალაქო სამართალში“, საგანს „ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი“ წინაპირობად აქვს „შესავალი სამოქალაქო სამართალში“, საგანს „სახელშეკრულებო სამართალი“ წინაპირობად აქვს „ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი“, და ა.შ. საბაკალავრო საფეხურის ბოლო ეტაპზე სავალდებულო კურსის სახით შეთავაზებულია პრაქტიკული კომპონენტებიც, მაგალითად, სამართლებრივი წერა, საპროცესო უნარ-ჩვევები და პრაქტიკული კურსები კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლიდან. პრაქტიკული უნარების კომპონენტებიდან 18 კრედიტის დაგროვება უნდა მოხდეს სავალდებულო სასწავლო კურსების ათვისების ხარჯზე. თავისუფალი კომპონენტის ოდენობა მოიცავს 12 კრედიტის ფარგლებში არჩევითი სასწავლო კურსის არჩევის შესაძლებლობას. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. კრედიტების მინიჭების მეთოდოლოგია ეფუძნება საკონტაქტო საათებისა და დამოუკიდებელი სამუშაო საათების რაოდენობის ჯამს. ერთი კრედიტი წარმოადგენს 25 ასტრონომიულ საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდენებელი მუშაობის საათების ჯამს. სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა × შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის 8 სწავლის შედეგს. სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: სასწავლო კურსის დასახელება, სასწავლო კურსის საფეხური, სასწავლო კურსის სტატუსი,

სასწავლო კურსის ხანგრძლივობა, სასწავლო კურსის კოდი, კრედიტების რაოდენობა, საათების გადანაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, კურსის განმახორციელებელი და საკონტაქტო ინფორმაცია,სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობისთვის გამოყოფილი დღე/დღეები, სასწავლო კურსის მიზანი, დაშვების წინაპირობა, სასწავლო კურსის შინაარსი, შეფასების სისტემა, შეფასების კომპონენტები, შეფასების კრიტერიუმები, სასწავლო მასალა, სწავლის შედეგები. თითოეული სასწავლო კურსი ლოგიკურად არის ორგანიზებული სემესტრების და წლების მიხედვით, რაც ნათლად ჩანს პროგრამის სტრუქტურასა და კურიკულუმის რუკაზე. პროგრამაში კრედიტების დაანგარიშების წესი ემყარება, არა მხოლოდ, სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებელთან სასწავლო გარემოში გატარებულ საათებს, არამედ იგი ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა კონკრეტულად რომელიმე კომპონენტის დასასრულებლად. კრედიტის მოცულობის გამოანგარიშება ხდება საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალური შეფასებით. კურსის შეფასებაში გამოიყენება მრავალფეროვანი შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართულობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. გამოიყენება როგორც სტანდარტული შუალედური და ფინალური გამოცდები, ასევე ინდივიდუალური და ჯგუფური პრეზენტაციები, კაზუსის ამოხსნა, საშინაო დავალებები, ქვიზები ღია და დახურული კითხვებით და ა.შ. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; მაგალითად, საკორპორაციო სამართალში მითითებული სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელოებთან ერთად, სტუდენტები ეცნობიან შესაბამის ნორმატიულ მასალას და სასამართლო გადაწყვეტილებებს. დასკვნით სემესტრებში შეთავაზებულ საგნებში გამოყენებულია ინგლიურენოვანი სახელმძღვანელოები/მასალა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ ინტერვიუ.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა × შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების განვითარება. პროგრამაში შემავალი საგნების უმეტესი ნაწილი თეორიასთან ერთად მოიცავს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას; კურიკულუმი მოიცავს ისეთ საგნებსაც, რომლის მიზანიც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობაა. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტები მიზნად ისახავს

სტუდენტისათვის თანამედროვე საჯარო, სისხლის ან კერძო სამართლის დარგებში მიღებული თეორიული ცოდნის გაღრმავებას, სამართალმცოდნისათვის საჭირო უნარების ჩამოყალიბებას და შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ამავდროულად, სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტებს უვითარდებათ კვლევითი უნარიც, რადგან სასწავლო კურსები ითვალისწინებს კვლევითი დავალების მიცემის კომპონენტსაც. დასკვნით სემესტრში, სტუდენტებს არჩევით კომპონენტად შესაძლებლობა აქვთ გაიარონ სასწავლო პრაქტიკა უნივერსიტეტს/სკოლას და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ან აირჩიონ ორგანიზაცია დამოუკიდებლად. ყოველწლიურად სტუდენტები, სამართლის სკოლის ხელშეწყობით, მონაწილეობენ სხვადასხვა იმიტირებულ სასამართლო პროცესებში, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე. უნივერსიტეტისა და სკოლის ფარგლებში ხორციელდება კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი აქტივობები. უსდ-ს გაფორმებული აქვს მემორანდუმი სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გააკეთონ არჩევანი საკუთარი ინტერესის შესაბამისად და პრაქტიკა გაირონ სხვადასხვა დაწესებულებებში, მაგალითად, იურიდიულ კომპანიებში, კერძო კომპანიებში, სახელმწიფო ორგანიზაციებში, და ა. შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ ინტერვიუ.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშისა და სილაბუსების მიხედვით გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები: დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, გონებრივი იერიში, კაზუსი, და სხვ. საბაკალავრო პროგრამაში მოცემულია სწავლება-სწავლის მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, სხვა. იქვე განსაზღვრულია, რომ პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სწავლება-სწავლის მეთოდები ასევე განსაზღვრულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების“ 3.10-ე მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმად: „საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალებაა სწავლება-სწავლის მეთოდი,

როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია და სხვ.)“. პროგრამის სილაბუსებში არის მოცემული მეთოდების ჩამონათვალი, თუმცა იქვე არ არის დეტალურად განმარტებული თუ რას გულისხმობს ეს მეთოდები. თუმცა ნაწილობრივ მათ დასახელებულ განმარტებას ანაცვლებენ შეფასების კრიტერიუმებით, რომელიც დეტალურად არის განამრტებული სილაბუსებში. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფენ პროგრამით გათალისწინებული შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ ინტერვიუ.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსების ანალიზის შედეგად, ჩანს რომ პროგრამის სილაბუსებში ნათლად არის განსაზღვრული სწავლის/სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და პირობები რაც შეესაბამება საქართველოს განათლების შესახებ კანონმდებლობას. კერძოდ, შეფასების სისტემა უშვებს:

- ხუთი სახის დადებით შეფასებას:
- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ყველა სილაბუსში ახსნილი და განმარტებულია შეფასების თითოეული კომპონენტის (მონაწილეობა, ლექციაზე დასწრება, შუალედური და საბოლოო გამოცდა, წერითი დავალება, დამოუკიდებელი სამუშაო/საშინაო დავალება, რეფერატის მომზადება, ქვიზი) შფასების კრიტერიუმები. სილაბუსებში ასევე მითითებულია შეფასების მეთოდები რაც თითოეული კომპონენტის მიხედვით სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✕			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები იღებენ შესაბამის საკონსულტაციო მომსახურებას. სტუდენტების თქმით, როგორც საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებისგან და საკონსულტაციო ჯგუფის წევრებისგან, ასევე ლექტორებისგან, საჭიროების შემთხვევაში, იღებენ სასარგებლო კონსულტაციას. უსდ-ში სტუდენტებსა და დეკანატის წარმომადგენლებს შორის არსებობს კარგი კომუნიკაცია და საუნივერსიტეტო გარემო მორგებულია სტუდენტებზე. უსდ-სა და სტუდენტებს შორის საკომუნიკაციოდ ძირითად შემთხვევაში გამოიყენება სოციალური ქსელი, ასევე თითოეულ სტუდენტს აქვს უსდ-ს მიერ შექმნილი ელ-ფოსტის ანგარიში, რომელზედაც უსდ-თან დაკავშირებული სიახლეები, გაცვლითი პროგრამების, დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია და ა.შ. იგზავნება უსდ-ს მიერ, აგრეთვე

ხდება მათი გამოქვეყნება უსდ-ს ვებ-გვერდზე. უსდ-ს შენობაში გამოყოფილი აქვს კედელი მიმდინარე სიახლეების გასაცნობად.

სასწავლო პრგრამის დაგეგმვაში სტუდენტები აქტიურად (სემესტრულად) იღებენ მონაწილეობას გარემოს, სასწავლო პროცესის, აკადემიური პერსონალის შეფასებაში. ფუნქციონირებს გამოკითხვის მეთოდი, სადაც სტუდენტების მიერ ხდება ამა თუ იმ კომპონენტის შეფასება და შემდეგ, ხელმძღვანელი პირებისგან ნაკლის მქონე კომპონენტის გაუმჯობესება.

მთლიანობაში, სტუდენტები და კურსდამთავრებულები ძალიან კმაყოფილნი არიან ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის დამოკიდებულებითა და საკონსულტაციო მომსახურებით. ისინი სკოლის ერთ-ერთ გამორჩეულ მახასიათებელად სწორედ ამ ფაქტორს ასახელებენ.

სტუდენტები ფლობენ სათანადო ინფორმაციას და აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში; აგრეთვე, ისარგებლონ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან და სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსაზრებებს ადმინისტრაცია ითვალისწინებს და რეკომენდაციის შესაბამისად შეაქვს ცვლილებები პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან საუბრისას, გამოიკვეთა, რომ არსებობს პრობლემა საერთაშორისო სამართლის მიმართულებით. პირველ რიგში

აღსანიშნავია საერთაშორისო სამართლის მიმართულება, რომელიც მხოლოდ ერთი სავალდებულო საგნით, კერძოდ, „საერთაშორისო საჯარო სამართლით“ შემოიფარგლება, რაც ცხადია საერთაშორისო მიმართულებით სტუდენტს ვერ მისცემს ზოგად საბაკალავრო ცოდნას. აგრეთვე, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ვერ ხდებოდა მათი დაინტერესება საერთაშორისო სამართლით. ერთ-ერთ მიზეზად სახელმძღვანელო დასახელდა, რომელიც პედაგოგის ნათარგმნი იყო და სტუდენტებისთვის აღნიშნული სახელმძღვანელოდან სწავლა სირთულეს წარმოადგენდა, თუმცა როგორც სილაბუსიდან ირკვევა, მოხდა სახელმძღვანელოს ცვლილება. სტუდენტები და კურსდამთავრებულები ასევე აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო საჯარო სამართლის სწავლების მეთოდით უკმაყოფილონი არიან, ამიტომ სავალდებულო საგნის სწავლის შემდეგ, არჩევითი საგნებიდან საერთაშორისო სამართლის მიმართულებით სხვა საგნის არჩევის სურვილი არ აქვთ. კარგი იქნება თუ მოხდება საერთაშორისო სამართლის მიმართულებით სწავლებისა და სტუდენტთა მხრიდან დაინტერესების მონიტორინგი სტუდენტებისთვის საერთაშორისო სამართლის უკეთესად შესასწავლად. ○ სტუდენტთა მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ მოხდეს ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ სისტემაში სასწავლო მასალებისა და სხვადასხვა ლიტერატურის დამატება. კარგი იქნება ბიბლიოთეკას თუ დაემატება ის სასწავლო სახელმძღვანელოები თუ ლიტერატურა, რის ნაკლებობასაც განიცდიან სტუდენტები. ○ სტუდენტებმა სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად უფრო დიდი სივრცის ქონის სურვილი გამოთქვეს, პროგრამის ხელმძღვანელებთან და უსდ-ს ადმინსიტრაციასთან საუბრისას გაირკვა, რომ იგეგმება კამპუსის მშენებლობა, სადაც სტუდენტებს არსებული სივრცის საჭიროებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

- სტუდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სასწავლო პროგრამა გახდა პრაქტიკულ სწავლებაზე ორიენტირებული, რაც ასახულია უსდ-ს მიერ წარმოდგენილ სასწავლო პროგრამაშიც, ეს ფაქტი კი სტუდენტებისთვის მისაღები და მოსაწონია.

- უსდ-ში დანერგილია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც აკადემიური მოსწრებისა და სათანადო უნარების ფლობის გათვალისწინების შედეგად ირჩევენ სტუდენტებს, რომლებიც პედაგოგებს ლექციის მსვლელობისას უწევენ ასისტენტობას. აღნიშნული პრაქტიკა სტუდენტებს მოსწონთ, რადგან როგორც ამბობენ, საშუალება ეძლევათ კონკრეტულ საგანსა და თემასთან დაკავშირებით ფართოდ მოიძიონ ინფორმაცია, სიღრმისეულად გაანალიზონ ესა თუ ის საკითხი და მიიღონ ერთგვარი პრაქტიკა.

- უსდ-ში კურიკულუმს მიღმა იმართება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიება, იმიტირებული სასამართლოები. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ უსდ-ს შესთავაზონ სხვადასხვა პროექტები და მათივე თქმით, მხარდაჭერას იღებენ. მაგალითისთვის მოიყვანეს განხორციელებული პროექტი „სამართლის კარის თამაშები“, რაც აგრეთვე აღნიშნულია უსდ-ს თვითშეფასების ანგარიშშიც. სტუდენტებს ასევე შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტებში, საზაფხულო სკოლებში.

- პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. 2016-2017 და 2018-2019 სასწავლო წელს სტუდენტებმა ისარგებლეს ერასმუს+ საერთაშორისო მობილობით.

- სტუდენტებისთვის დაწესებულია საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სტიპენდიები, რაც მათთვის ერთგავრ სტიმულს წარმოადგენს.

- საბაკალავრო პროგრამის სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია ოთხ ეტაპად, რასაც სტუდენტები ერთ-ერთ დადებით მხარედ მიიჩნევენ.

- ინგლისური ენის კომპონენტი, რომლის ნაკლოვანებებზეც საუბრობდნენ კურსდამთავრებულები, სტუდენტების, ასევე პროგრამის ხელმძღვანელი პირების თქმით, გაუმჯობესებულია, რაც ასახულია ინგლისური ენის სილაბუსში. შეიცვალა

ინგლისური ენის სწავლების პროგრამა, რისი მიხედვითაც სტუდენტები ცოდნის დონის მიხედვით ნაწილდებიან შესაბამის ჯგუფებში და ინგლისური ენის შესწავლის კურსს ასრულებენ B2 დონის მიღწევის შემთხვევაში. აგრეთვე, ინგლისური სწავლების აკადემიური საათები გაიზარდა და კვირაში 6 აკადემიური საათი ეთმობა. როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, ეს ცვლილება პრაქტიკულად დადებითად აისახა მათი ცოდნის დონეზე. აგრეთვე, სასწავლო პროგრამას დაემატა საგანი - სამართლებრივი ინგლისური.

- სტუდენტების და აგრეთვე, სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის თქმით, არსებობს შეფასების გასაჩივრების მეთოდი, თუმცა პერსონალთან და სტუდენებთან გასაუბრების შემდეგ როგორც გაირკვა, გასაჩივრების მექანიზმი არც ერთ სტუდენტს არ გამოუყენებია.

- სასწავლო პროგრამა უფრო მეტად გახდა პრაქტიკულ კომპონენტზე ორიენტირებული, რაც სტუდენტებისთვის მისაღები და მოსაწონია.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში

უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	×			

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტში სწავლების მეთოდები კრეატიული და განსხვავებულია და მოიცავს ლექცია-სემინარებს, პრატიკასა და განსხვავებულ პროექტებზე მუშაობას, სადაც ერთმანეთს ერწყმის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. პროგრამის გახორციელებაში ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები. სავალდებულო სასწავლო კურსების აბსოლუტურ უმრავლესობას ხელმძღვანელობს აკადემიური პერსონალი, მოწვეული ლექტორების ძირითადი ნაწილი დატვირთულია სპეციალობის მოდულების არჩევითი საგნების მიმართულებით. პრაქტიკული კომპონენტის ყველა და მოდულების იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც აქცენტი კეთდება პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, ხელმძღვანელობენ პრაქტიკოსი იურისტები. აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორების უმრავლესობა იკვლევს, პერიოდულად აქვეყნებს აკადემიურ ნაშრომებს რამდენიმე ენაზე. შედეგად, სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან ის პირები, ვინც უშუალოდ ქმნიან პროდუქტს სამართლის მიმართულებით

სასწავლო უნივერსიტეტს 2018 წლის 12 ივნისის № 54-18 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია". წესში ჩამოყალიბებულია პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია პროგრამების მიხედვით, მათი სასწავლო და სამეცნიო დატვირთვის სახეების პირობითი ჩამონათვალი.

პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს თუ რამდენი სტუდენტის მომსახურება შეუძლია 1 პროფესორს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის მიმართულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე სასწავლო უნივერსიტეტს ყოველ 50 სტუდენტზე უნდა ჰყავდეს სულ მცირე, 1 აფილირებული პროფესორი.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდეობა შეადგეს 49. აქედან 26 აკადემიური და 23 მოწვეული.

სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა 26

- პროფესორი 1
- ასორიბეული პროფესორი 13
- ასისტენტ პროფესორი 1
- ასისტენტი 11

სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა 18

- აფილირებული ასორიბეული პროფესორი 8
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი 1
- აფილირებული ასისტენტი 9

როგორც თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, სასწავლო უნივერსიტეტს საკმარისი სასწავლო აკადემიური პერსონალი ჰყავს და აქვს აკადემიური უზრუნველყოფა რაც საშუალებას აძლევს ზედმეტი პრობლემების გარეშე წარმართოს სასწავლო პროცესი.

თუმცა გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელიც სასწრაფო ზომების მიღებას საჭიროებს: საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულნი არიან სამართლის დოქტორის ხარისხის არ მქონე პირები, რომელთაც უკავიათ ასისტენტის აკადემიური თანამდებობა, მათთან გაფორმებულია აფილირების ხელშეკრულება და საგანმანათლებლო პროგრამაზე მიჰყავთ სალექციო კურსი სრულად. საგანმანათლებლო პროგრამაში აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში შედის 11 ასისტენტი, რომელთაგან 9 არის აფილირებული და ამავე დროს ეწევა სალექციო საქმიანობას.

თითოეული განაწილებულია შემდეგ საგნებზე სადაც არ განიხილება სხვა დამატებითი კადრი:

- სანივთო (ქონებრივი) სამართალი (სავალდებულო)
- კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები (სავალდებულო)
- ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი (სავალდებულო)
- სამოხელეო სამართალი
- ადმინისტრაციული სამართლის პროცესი (სავალდებულო)
- საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი (სავალდებულო)
- საარჩევნო სამართალი

- ადგილობრივი თვითმართველობის სამართალი
- საბანკო და სადაზღვევო სამართლის საფუძვლები
- საკორპორაციო სამართალი (სავალდებულო)
- სისხლის სამართლის (ზოგადი ნაწილი) (სავალდებულო)
- კრიმინოლოგია
- საერთაშორისო კერძო სამართალი
- საოჯახო სამართალი (სავალდებულო)
- მემკვიდრეობის სამართალი (სავალდებულო)
- პოლიტიკის შესავალი
- ინგლისური ენა (სავალდებულო)

მოცემული ცვლილებით სასწავლო უნივერსიტეტს გაუჩნდება საჭიროება მოახდინოს ზემოთ მოცემული საგნების აკადემიური რესურსით უზრუნველყოფა. შესაძლებელია გამოიწვიოს მოწვეული პერსონალის რაოდენობის ზრდა რაც შეცვლის სასწავლო უნივერსიტეტის მოდგომას სავალდებულო საგნები გაანაწილდეს მხოლოდ აკად. პერსონალზე. გამომდინარე აქედან რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტმა მოახდინოს აკადემიური პერსონალის აყვანა რათა უზრუნველყოს პროგრამის მდგრადომის შენარჩუნება, ხარისხის შენარჩუმენა.

სასწავლო უნივერსიტეტში არსებული 26 აკადემიური პერსონალიდან სასწავლო მიზნებისთვის ხელმისაწვდომია 15.

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ განმარტავს ,,ასისტენტის“ მნიშვნელობას:

მუხლი2 ი1) ასისტენტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

ამ ცვლილებით 15 აკადემიური პერსონალი რჩება რომელსაც აქვს შესაძლებლობა აწარმოოს სასწავლო პროცესი.

15 აკადემიური/34 მოწვეული
15 აკადემიური /355 სტუდენტი

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება, იყოს პროგრამის შესაბამის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან/და პროფესიული/პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი. შესაბამისად,
სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები არიან პირები, რომელთაც გააჩნიათ სწავლების და პრაქტიკული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება. პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი არის სამართლის დოქტორი, რომელიც 2009 წლიდან ეწევა პრაქტიკულ საქმიანობას, 2010 წლიდან - სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო 2011 წლიდან - საგანმანათლებლო საქმიანობას. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, წიგნები, მონოგრაფიები, სტატიები და თარგმანები, ქართულ, ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

პროგრამის მეორე ხელმძღვანელი არის სამართლის მაგისტრი, დოქტორანტი , რომელიც 2010 წლიდან ეწევა პრაქტიკულ (საადვოკატო და საკანონმდებლო) და სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო 2016 წლიდან საგანმანათლებლო საქმიანობას. არის რამდენიმე პუბლიკაციისა და თარგმანის ავტორი. ხელმძღვანელობს სულხან- საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული, გერმანული და შედარებითი კერძო სამართლის ცენტრს.

პროგრამის ხელმძღვანელები ახორციელებენ საბაკალავრო პროგრამის შემუშავებას და მოდიფიცირებას. მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ პერსონალთან. მონაწილე პირთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით მართავენ შეხვედრებს, სადაც დისკუსიის რეჟიმში ხდება პროგრამის ცალკეულ დეტალებზე აზრების შეჯერება და სტუდენტების კონსულიტირება. შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელები ახდენენ ცვლილებების ადეკვატურ ასახვას პროგრამაში და თანამედროვე მოთხოვნებთან ადაპტაციას. კოორდინაციას უწევენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობას, პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერების მიზნით დებენ სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობის მემორანდუმებს, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტების გაძლიერების მიზნით კი მუდმივ კოორდინაციაში არიან პარტნიორ და სხვა საერთაშორიშო უნივერსიტეტებთან.

პროგრამის განხორციელების ხელშეწყობისთვის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე, ბიბლიოთეკაში, ხარისხის მართვის სამსახურში, საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებაში, იურიდიულ განყოფილებაში, კანცელარიაში, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში, საფინანსო სამსახურში, ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილებაში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, მატერიალური რესურსების მართვის განყოფილებაში და დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილებაში მუშაობენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები. ისინი უზრუნველყოფენ სტუდენტების ინფორმირებას საგანმანათლებლო პროგრამასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, ეხმარებიან მათ სწავლის პროცესში შექმნილი პრობლემების გადაჭრაში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები. მისასალმებელია პრაქტიკული საგნების მიმართულებით პრაქტიკოსი ლექტორების ჩართულობა, რაც სტუდენტებს მეტად გაუმახვილებს ყურადღებას პრაქტიკულ ნიუანსებსა და პრობლემებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამების მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების/ცალკეული პერსონალის სამუშაოს აღწერილობები;
- საკონკურსო მასალები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- აკადემიური, მოწვეული პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობა;
- ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;

- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის მდგრადობის შენარჩუნების, ხარისხის შენარჩუნების მიზნით რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტმა განაახლოს აკადემიური პერსონალი რათა მოემსახუროს ყველა საგანს სადაც განაწილებული იყო ასისტენტის პოზიციაზე მყოფი აკადემიური პერსონალი.
- რეკომენდირებულია აკრედიტაციის საბჭოს იმსჯელოს გავრცელებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, რას გულისხმობს ასისტენტის მიერ დამოუკიდებლად სალექციო კურსის წაყვანას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

× მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების პროგრამები მოიცავს უწყვეტი სწავლებისა და მიზნობრივ პროგრამებს. უწყვეტი სწავლების პროგრამების მიზანია, რომ მონაწილეებმა შეძლონ სფეროს სიახლეების უწყვეტ რეჟიმში გაზიარება და უცხო ენაზე კომუნიკაციის გაუმჯობესება. ამ მიმართულებით უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი მუდმივად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, ტრენინგებში და სამუშაო შეხვედრებში. მიზნობრივი პროგრამები მორგებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ამ მიზნით ხორციელდება როგორც უნივერსიტეტის პერსონალის მობილობა პარტნიორ ევროპის უნივერსიტეტებში ასევე უცხოელი ლექტორების მობილობა საბაუნიში.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად უნივერსიტეტმა დაადგინა აფილირებული პერსონალისთვის ანაზღაურებადი აქტივობების ჩამონათვალი და ამ აქტივობათა განხორციელებისათვის საჭირო დროის პირობითი სამიზნე ნიშნულები წლის მიხედვით. სამეცნიერო აქტივობებისთვის პროგრამის ბიუჯეტში გამოყოფილია ფინანსები. უნივერსიტეტის მხარდაჭერით პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მონაწილეობა აქვთ მიღებული საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებში, სამუშაო შეხვედრებში და მობილობაში. კონფერენციის მასალები გამოქვეყნებულია კრებულში.

პროგრამების განხორციელების ეტაპიდან მოყოლებული უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა პერსონალის შეფასებას მათი და სტუდენტების გამოკითხვების და ინტერვიუების საშულებით. მიღებული შედეგების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა ფაკულტეტების საბჭოზე. ასევე გაანალიზებული გამოკითხვის შედეგების წარდგენა ხდებოდა აკადემიურ საბჭოზე, სადაც შემუშავებული რეკომენდაციების და მათი პრაქტიკაში გამოყენების გზები განიხილებოდა.

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული იქნა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის საფუძველზე სემესტრში ერთხელ ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასება. შეფასებისას გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება
- სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასება
- სტუდენტების აკადემიური მოსწრება

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების შედეგები, რომლის განხორციელება დასტურდება აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალთან გასაურების შედეგად.
სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმი, რომლის საფუძველზეც დასახული იქნება კვალიფიკაციის ამაღლების თუ წახალისების ღონისძიებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები დამათი გამოყენების წესი;

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროგრამების მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების ანგარიში;
- მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საშუალებას აძლევს მას მიაღწიოს დასახულ სასწავლო მიზნებს.

სასწავლო უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის

განკუთვნილი აუდიტორიებით. უნივერსიტეტს აქვს სასამართლო დარბაზი სადაც სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, მოდელირებული სასამართლო პროცესები რაც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისთვის და კვლევისთვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი ელექტრონულად მოძებნა. ბიბლიოთეკაში დაცულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით EBSCO, HeinOnline, ELSEVIER: Scopus, Science Direct, Scival Funding (Funding Institutional). HeinOnline თან წვდომა შესაძლებელია მხოლოდ უნივერსიტეტის ტეროტორიაზე, რაც არაკომფორტულია. ასეთ შემთხვევაში აკადემიური/ მოწვეული პერსონალი იძულებულია დრო გამოყოს რათა უნივერსიტეტში ისარგებლოს ელექტრონული რესურსით. გასათვალისწინებელია თოთოეულის დატვირთული სამუშაო გრაფიკი. სასწავლო უნივერსიტეტში გამოყოფილია აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკინით და ინვეტარით. პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო- საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. სტუდენტთათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. სასწავლო უნივერსიტეტში საუბრობს სწავლების ახალი მეთოდების შესახებ. არ არის ხელმისაწვდომი ელექტრონული სწავლების გვერდი Moodle, სივრცე სადაც შესაძლებელია ლექტორთა მხრიდან სასწავლი კურსების დარეგისტრირება, დავალებების ატვირთვა-შემოწმება, ფორუმებზე ტექსტების განთავსება. ეს არის კომუნკაციის საშუალება ლექტორსა და სტუდენტს შორის. შესაძლებელია ლიტერატურის განთავსება. კარგი საშუალებაა ჯგუფებთან კომუნიკაციის მიმართულებით .შესაძლებელია ტექსტური შეტყობინეის გაგზავნა და პასუხის მიღება. შესაძლებელია ელექტრონულად საგამოცდო დავალების ატვირთვა და გასწორება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; • გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები: • იმსჯელეთ სწავლების ახალი მეთოდების დანერგვაზე, მათ შორის: Moodle, Massive Online Courses, ინტერაქტიული თეთრი დაფები და ა.შ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სტუდენტებს, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს HeinOnline თან წვდომის შესაძლებლობა ჰქონდეს უნივერსიტეტის ტერიტორიის გარეთ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან × მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები რეალური და მიზანშეწონილია და შესაბამისობაშია პროგრამის მოთხოვნებთან. პროგრამა ფინანსურად მდგრადი და გამართულია, რომელიც უზრუნველყოფილია როგორც საგანმანათლებლო ისე სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბუჯეტით, გასაუბრების შედეგად დასტურდება რომ უნივერსიტეტი ორიენტირებულია მუდმივად განაახლოს

მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უახლესი ლიტერატურით. მიმართულია უზრუნველყოს საერთაშორისო ელექტრონული რესურსების წვდომა. ბიუჯეტში გათვალისწინებულია: ხარჯები პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და მივლინების შესახებ, ხარჯები სახელმძღვანელოების, წიგნების ჟურნალების დაბეჭდვის შესახებ, ხარჯები კონფერენციის, სემინარების, საჯარო ლექციებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • ფაკულტეტის ბიუჯეტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება.მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა ჩაატაროს ანალიზი ამ პრობლემის მოსაგვარებლად; მაგ., პროგრამების რეკლამირება საზოგადოებაში და ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლითაც მოიზიდავს სტუდენტებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა × შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		×		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხარისხის სრულყოფისათვის უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რომელიც ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პროფესურის, კურსდამთავრებულების რეგულარული გამოკითხვის საშუალებით. უნივერსიტეტის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა დასტურდება თვითშფასების ანგარიშისა და სხვადასხვა დოკუმენტით. ხარისხის შეფასების დასადასტურებლად უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა დოკუმენტები, მათ შორის „აკადემიური/მოწვეული პერსონალის/სტუდენტის გარემოს შეფასების შედეგი“, „დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგი“, „კურსდამთავრებული კმაყოფილების კვლევის შედეგი“, „სტუდენტის მიერ აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მაჩვენებელი“, „სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასების შედეგი“, „სასწავლო პროცესის შეფასების შედეგი“ და „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგი“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უსდ იყენებს ხარისხის შეფასების და გაუმჯობესების სხვადასხვა მექანიზმებს, ხოლო ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უსდ ძირითადად ითვალისწინებს დაინტერესებული პირების უკუკავშირს როგორც პროგრამის, ასევე, საგნების დამუშავების პროცესში. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის მიმართულება, რომელიც მიუხედავად კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების მინიმალური სტანდარტების დაცულობისა, ინტერვიუს დროს იყო გაკრიტიკებული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან განსაკუთრებით საერთაშორისო საჯარო სამართლის ლექტორი/საერთაშორისო სამართლის მიმართულების კურატორი და აღნიშნულ მიმართულებაში გამოყენებული

სახელმძღვანელო, რაც ზემოთ აღინიშნა სტუდენტური კომპონენტის განხილვის დროს. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია დაინტერესებულ პირთა ჩართულობა დოკუმენტის შედგენისას, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, უფრო მეტად კი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი ყველაზე აქტიურ როლს თამაშობდა თვითშეფასების მომზადებაში. სუსტი იყო იურიდიული ფაკულტეტის ყოფილი დეკანის კოორდინაცია აღნიშნულ პროცესებში, რომლის შემცვლელიც ოფიციალურად ერთი დღით ადრე დაინიშნა თანამდებობაზე, თუმცა როგორც ინტერვიუს დროს გვითხრეს რამდენიმე კვირით ადრე მიმდინარეობდა საქმეების გადაბარების პროცესი. თვითსეფასება (ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტის გარდა), ფაქტობრივად, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ არის განსახორციელებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების დოკუმენტი - ხარისხის შეფასების დოკუმენტები - ინტერვიუ - საბაკალავრო პროგრამა
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა × შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია 2014 წელს მიიღო. აკრედიტაციის შედეგად გაცემული რეკომენდაციების მიხედვით: დაიხვეწა სილაბუსები და ლიტერატურა უფრო მრავალფეროვანი გახდა, გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი და ინგლისურენოვანი კომპონენტი. ამავდროულად, უსდ-მ ხელი შეუწყო აკადემიური პერსონალის მონაწილეობას სამეცნიერო და საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებში და სამუშაო მივლინებებში. სასწავლო კურსებში გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი და სტუდენტების უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ თეორიის პარალელურად პრაქტიკული ცოდნა მიიღონ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა მეტწილად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამის ადმინისტრირების პროცესში განხილულ იქნა და შესრულდა აკრედიტაციის დროს მიღებული ძირითადი რეკომენდაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- ხარისხის შეფასების დოკუმენტები
- ინტერვიუ
- საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა × შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის შეფასების დასადასტურებლად უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა დოკუმენტები, მათ შორის „აკადემიური/მოწვეული პერსონალის/სტუდენტის გარემოს შეფასების შედეგი“, „დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგი“, „კურსდამთავრებული კმაყოფილების კვლევის შედეგი“, „სტუდენტის მიერ აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მაჩვენებელი“, „სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასების შედეგი“, „სასწავლო პროცესის შეფასების შედეგი“ და „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგი“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უსდ იყენებს ხარისხის შეფასების და გაუმჯობესების სხვადასხვა მექანიზმებს, ხოლო ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უსდ ძირითადად ითვალისწინებს დაინტერესებული პირების უკუკავშირს როგორც პროგრამის, ასევე, საგნების დამუშავების პროცესში. განსაკუთრებულად აქტიურად ჩანდა სტუდენტების

რეკომენდაციების შესრულება პრაქტიკული კომპონენტისა და ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერების თვალსაზრისით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების დოკუმენტი - ხარისხის შეფასების დოკუმენტები - ინტერვიუ - საბაკალავრო პროგრამა
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) - გაძლიერდა ინგლსურენოვანი კომპონენტი - გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა × შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	×			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სულხან-საბა ორბელიანი სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართალი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 50 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	×			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	×			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	×			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		×		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✕			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

დავით მაისურაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სოფიო შენგელია

ქეთევან ჩეკურიშვილი

თამარ ალექსიძე